საიას სტრატეგიული მიმართულებები

(2021-2025)

დამტკიცებულია საიას წევრთა საერთო კრების მიერ

2020 წლის 5 დეკემბერს

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - საია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნდა 1994 წელს.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საიას საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს 2021-2025 წლებში. სტრატეგია ეფუძნება ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებას, ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებს და გამოწვევებს. დოკუმენტის მიზანია, შექმნას მკაფიო სტრატეგიული ჩარჩო სათანადო მოქნილობით, რათა ორგანიზაციამ შეძლოს რეაგირება ქვეყნის შიგნით, რეგიონულ თუ გლობალურ დონეზე არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე.

ჩვენი მისიაა - ყველასთვის სამართლიანი გარემოს ფორმირება დემოკრატიული მექანიზმების გაუმჯობესების გზით.

ჩვენი დევიზია - კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის!

სტრატეგიული მიზნები:

1. *ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლება*

ადამიანის განვითარებისთვის სამართლიანი გარემოს არსებობა უფლებების განუხრელ დაცვას გულისხმობს. ამ სტანდარტის გაუმჯობესება მუდმივი და ცვალებადი პროცესია. მასზე სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები ზემოქმედებს. მსოფლიოსა და რეგიონში განვითარებული მოვლენები საქართველოზეც აისახება. ეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, რაც საიაზეც ახდენს გავლენას და მისგან საპასუხო ნაბიჯებს მოითხოვს. ამ პირობებში პრობლემად რჩება ადამიანის უფლებების ზოგადი სტანდარტების დაცვა. იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ კრიზისული ვითარება ყველაზე დიდ დარტყმას დაუცველ ჯგუფებს აყენებს. მოცემულ ვითარებაში ჩვენი მიზანია, გამოვიყენოთ საკუთარი გამოცდილება, ცოდნა,

კავშირები, რათა შევამციროთ ნეგატიური ზეგავლენა და გავაუმჯობესოთ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი ისეთი მექანიზმებით, როგორიც არის ამ დარღვევების დოკუმენტირება, სამართლებრივი დახმარება, სტრატეგიული სამართალწარმოება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, ადვოკატირება და სწავლება. ჩვენი მთავარი მოტივი სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ჩართულობის გაზრდაა, რასაც მისი უფლებების დაცვა განაპირობებს.

2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანობის ერთ-ერთ არსებით საზომს მმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენს. საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ინფორმაცია, ფორუმი და ზეგავლენის მექანიზმები იმისთვის, რათა სრულყოფილად შეძლოს საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობა. მეორე მხრივ, ეს მექანიზმები პოლიტიკის ფორმირებაზე ზემოქმედების მოქნილ და ეფექტიან შესაძლებლობებს უნდა იძლეოდეს. ქვეყანაში კი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს საზოგადოების რომელიმე ნაწილს, მიიღება ცენტრალიზებულად, ცალკეული პირებისა ან პირთა ჯგუფების მიერ, დახურულ კარს მიღმა, ფართო კონსენსუსისა და მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე. ის ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეხებათ, პროცესიდან მოწყვეტილნი არიან, რაც ქმნის უსამართლობის განცდას და ხალხსა და ხელისუფლებას ერთმანეთს აშორებს.

საიას სურს, საკუთარი რეგიონული ქსელი და სხვადასხვა ჯგუფთან არსებული საკომუნიკაციო არხები სრულყოს, განავითაროს და გამოიყენოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ამისთვის ორგანიზაცია ძალისხმევას მიმართავს საჯარო პოლიტიკაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გასაძლიერებლად. დემოკრატიის შეუქცევადი პროგრესისთვის აუცილებელია ინსტიტუციურ დონეზე სათანადო გარანტიების არსებობა.

3. ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება

სახელისუფლებო ინსტიტუტების საქმიანობა საზოგადოებაში არსებულ საჭიროებებსა და წუხილებს პასუხს უნდა სცემდეს. აქედან მომდინარე მათი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს პრობლემების გადაჭრისკენ. დღეს ეს ორგანოები

განიცდიან სხვადასხვა ჯგუფის ზეგავლენას, რაც მათ ამ ჯგუფების ინტერესებს უქვემდებარებს. ეს კი საზოგადოების უნდობლობას, იმედგაცრუებასა და გაუცხოებას იწვევს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ საჯარო ინსტიტუტების საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობა ადამიანის ძირითადი უფლებაა.

საიას სურს, საკუთარი ცოდნა, რესურსები და ნდობა გამოიყენოს ინსტიტუტების საქმიანობების შეფასებისა და განვითარებისთვის, რათა ისინი საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდნენ. ჯანსაღი ინსტიტუციური გარემო ეროვნული პოლიტიკის წარმოების გარანტიაა, სადაც დაზღვეული იქნება ყველა ის შიდა და საერთაშორისო საფრთხე და კრიზისი, რომელიც ქვეყნის წინაშე დღეს არსებობს.

4. ორგანიზაციული გაძლიერება/განვითარება

ადამიანის უფლებების დაცვის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესების მიღწევის მიზნით, მნიშვნელოვანია, არსებობდეს ორგანიზაციული შეფასებისა და განვითარების გამართული მექანიზმები. თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ და ეფექტიანი მუშაობისთვის აუცილებელია საერთო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული ძლიერი გუნდის, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული სისტემის, შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის არსებობა.

ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება წევრებთან ურთიერთობის რესურსის გამოყენებაა. უნდა არსებობდეს მათთან კომუნიკაციის გამართული მექანიზმები, რომლებიც ეფექტიანად იმუშავებს.

5. საიას პოზიციონირების გაძლიერება

პოლარიზებული გარემოს პირობებში ორგანიზაციის თანმიმდევრულ, პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალ პოზიციონირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარ ვითარებაში საიას ამოცანაა, დარჩეს მიუკერძოებელ და სამართლიანობისთვის მებრძოლ ორგანიზაციად, რომლის მიზანია, საზოგადოებას შესთავაზოს გავლენებისგან თავისუფალი, ობიექტური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოზიცია როგორც ქვეყნის, ისე რეგიონული მასშტაბით.